

Darejan Menabde

დარეჯან მენაბდე

Doctor of Philological Sciences,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

From Literary Translation to European Kartvelology

მხატვრული თარგმანიდან ევროპულ ქართველოლოგიამდე

Translation, publication and distribution of a literary text into foreign languages is a certain possibility of “penetration” of this text into the world literary process. For the so-called “small” countries facing global challenges introduction of their literary works to the twenty-first-century readers assumes special importance. This article will focus on the outstanding translations of two texts of different periods and literary directions (*Amirandarejaniani, A Book of Wisdom and Lies*) in European languages and special studies of European literary critics published about these translations.

Key words: *Literary Translation, European Kartevology*

საკვანძო სიტყვები: მხატვრული თარგმანი, ევროპული ქართველოლოგია

ევროპული ქართველოლოგიის მეცნიერულმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ მხატვრული ტექსტის უცხოურ ენებზე თარგმნა, დაბეჭდვა და გავრცელება არის ერთგვარი შესაძლებლობა ამ ტექსტის „შელწევსა“ მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში. გლობალური გამოწვევების წინაშე მდგომი ე. წ. „პატარა“ ქვეყნებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკუთარი ლიტერატურული პროდუქციის გაცნობა ოცდამეერთე საუკუნის მკითხველისათვის. ნიშანდობლივია ისიც, რომ ევროპელ მეცნიერთა მოღვაწეობას ქართული ლიტერატურის კვლევის საქმეში არსებითი მნიშვნელობა აქვს საკუთრივ ქართველოლოგიური მეცნიერებისათვის, რადგანაც ქართველოლოგიური პრობლემატიკა სწორედ ამ გზით გადის მსოფლიო არენაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მხატვრული ლიტერატურის თარგმნას უცხოურ ენებზე. ამასთანავე, აუცილებელია შესწავლილი და გამოვლენილი იყოს წარსულიდან თანამედროვეობამდე შექმნილი ტექსტების თარგმანთა ღირსება-ნაკლოვანებები, მათი როლი და ადგილი მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში, რაც ქართული თემატიკით ევროპელ მეცნიერთა მეტ დაინტერესებას იწვევს. ნათქვამის საილუსტრაციოდ შევვებით სხვადასხვა ეპოქისა და ლიტერატურული მიმართულების ორი ტექსტის („სიბრძნე სიცრუისა“, „ამირანდარეჯანიანი“) გამორჩეულ თარგმანებს ევროპულ ენებზე და ამ თარგმანთა შესახებ გამოქვეყნებულ ევროპელ ლიტერატურათმცოდნეთა სპეციალურ გამოკვლევებს.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ ევროპულ ენებზე შესრულებული თარგმანების რაოდენობით მხოლოდ „ვეფხისტყაოსანს“ ჩამორჩება. ინგლისურ ენაზე „სიბრძნე სიცრუისა“ პირველად თარგმნა და გამოსცა ოლივერ უორდროპმა (1864-1948). და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპების დამსახურება ძალზე დიდია ინგლისური ქართველოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. მათ ერთობლივად თარგმნეს „წმინდა ნინოს ცხოვრება“. ო. უორდროპმა დამოუკიდებლად თარგმნა და გამოსცა „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“, „ვისრამიანი“, გიორგი მეხუთის კანონები, ალ. ცაგარელის მიერ შედგენილი ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერთა აღწერილობა და ა. შ.

ო. უორდროპი თავის წიგნში „The Kingdom of Georgia. Notes of Travel in a Land of Women, Wine and Song“ („საქართველოს სამეფო. მოგზაურობა ქალების, ღვინისა და სიმღერების ქვეყანაში“) (Wardrop, 1888), ქართულ მწერლობას უძღვნის ცალკე თავს, რომელშიც სხვა მწერალთა შორის სულხან-საბა ორბელიანსაც მოიხსენიებს:

„მე-17 საუკუნის გასულს თავადმა სულხან ორბელიანმა აღწერა თავისი მოგზაურობა ევროპაში და შეადგინა „სიბრძნე სიცრუის წიგნი“, რომელიც ამ ხანებში რუსულად დაიბეჭდა. ს. ორბელიანი ცხოვრობდა ლუდოვიკო XIV-ის სასახლეში და დიდი მეგობრობა ჰქონდა ლაფონტენთან, რომელმაც ქართველი თავადიშვილისაგან გაიგონა არაერთი იგავ-არაკი და გამოიყენა თავის თხზულებაში. ორბელიანის უდიდესი ღვაწლი არის მისი „ქართული ლექსიკონი“, რომელიც შეიცავს 25 000 სიტყვას და არის დედაბოძი ყველა სალექსიკონო თხზულებათათვის ქართულ ენაზე“ (შარაძე, 1984, გვ. 57).

ოლივერ უორდროპის თარგმანი „Orbeliani Sulokhan-Saba. The Book of Wisdom and Lies. A Book of Traditional Stories from Georgia, in Asia, Translated by O. Wardrop“ (სულხან-საბა ორბელიანი, „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“) (Wardrop, 1894) მდიდრულადაა გაფორმებული. გამომცემელია უილიამ მორისი. წიგნის წინასიტყვაობაში (Wardrop, 1894: X-XVI) ო. უორდროპი ინგლისურენოვან მკითხველს მოკლედ აცნობს სულხან-საბა ორბელიანის ვინაობას, ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მის როლსა და ადგილს ქართულ მწერლობაში. წინასიტყვაობიდანვე ჩანს, რომ „სიბრძნე სიცრუისას“ უორდროპისეული თარგმანი შესრულებულია ალ. ცაგარელის რუსული თარგმანის მიხედვით.

„სიბრძნე სიცრუისას“ ინგლისურ ენაზე თარგმნას სიხარულით შეხვდა ქართველი საზოგადოება. ილია ჭავჭავაძე 1896 წლის 26 თებერვალს სწერდა მარჯორი უორდროპს: „*თქვენ ქართულიდამ გითარგმნიათ საბა ორბელიანის ნაწერიცა... მე მიხარია, რომ თქვენის განათლებულის შემწეობით დიდი ერი ინგლისისა, ცოტად თუ ბევრად, შეიტყობს, რომ არის ქვეყანაზე ერთი მივიწყებული პატარა ქართველი ერი და აქვს თავისი ლიტერატურა, რომელშიაც ინახავს თავისის სულის და გულის საუნჯესა*“ (ჭავჭავაძე, 2012, გვ. 176).

„სიბრძნე სიცრუისას“ უორდროპისეული სრული თარგმანი შეიცავს 162 იგავს, რაც აიხსნება იმით, რომ მთარგმნელს ზოგიერთი არაკი დაუნაწევრებია და თვითონვე დაუსათაურებია. თარგმანის წინასიტყვაობაში ოლივერ უორდროპი წერს:

„სიბრძნე სიცრუისა“ თავისი სქემით ემსგავსება „პანჩატანტრას“, „ჰიდოპადემს“, „ანვარი-სოჰაილს“ და მრავალ სხვა ნაწარმოებს, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს, რომ იგი მივიჩნიოთ თარგმანად, ან შეგნებულ მიბაძვად... რაც შეეხება დედნის სტილს, მისი ენა გამოირჩევა ისეთი არაჩვეულებრივი მოხდენილობითა და ლაკონიურობით, რომ უცხოელი ტყუილუბრალოდ შეეცდება, დახმარების გარეშე, შესაფერისად გადმოსცეს იგი“ (თურნავა, 1999, გვ. 243).

საინტერესოა თხზულების დასათაურების საკითხი, რამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ქართველ და ინგლისელ მეცნიერთა შორის. როგორც აღვნიშნეთ, თხზულების ინგლისური სათაურია „The Book of Wisdom and Lies“ – „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“. ამკარაა, რომ ო. უორდროპი იზიარებდა თხზულების სათაურის ალ. ცაგარელისეულ რუსულ თარგმანს: „Книга Мудрости и Лжи“. „სიბრძნე სიცრუისას“ სათაურის ამგვარ გაგებას მხარს უჭერდა ქართველოლოგი დევიდ ლანგი (1924-1991). 1957 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა მისი სტატია „წიგნი სიბრძნე-სიცრუისას სათაურისათვის“ (ლანგი, 1957, გვ. 159-167), რომლის ინგლისური ვარიანტი ადრევე დაიბეჭდა (Lang, 1956, გვ. 436-448). სტატიაში დ. ლანგი ასაბუთებს, რომ თხზულების სათაური უნდა იყოს „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“. მისი დასკვნით: „ალ. ცაგარლისა და უორდროპისეული წაკითხვა სულხან-საბას უცნაური სათაურისა, როგორც „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“, სწორია... სულხან-საბა ორბელიანისათვის სიბრძნე და ჭეშმარიტება არ გამოდის სიცრუისაგან და არც დაფუძნებულია მასზე. სიბრძნე უფრო სიცრუის საწინააღმდეგო წამალია; ტყუილთან დაპირისპირებით სიბრძნე უფრო ბრწყინვალედ კაშკაშებს“ (ლანგი, 1957, გვ. 167).

„სიბრძნე სიცრუისას“ ხელნაწერთა მონაცემებზე დაყრდნობით დ. ლანგი წერდა:

„უმთავრესი სიძნელე ის არის, რომ ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, ზუსტად რა სახის სათაური წააწერა ორბელიანმა საკუთარ თავდაპირველ ხელნაწერს. თუ დამტკიცდება, რომ სულხან-საბამ თვითონვე დაარქვა წიგნს „სიბრძნე სიცრუისა“, „წიგნის“ გარეშე, საკითხი გადაწყვეტილი იქნება; ეს ფორმა იძლევა მხოლოდ ერთ გაგებას „სიცრუის სიბრძნე“... ჩვენ ხელთმყოფ ხელნაწერთაგან არც ერთს არა აქვს მოკლე სათაური – „სიბრძნე სიცრუისა“. თავის მხრით, მოკლე სათაურის მქონე ხელნაწერების არარსებობა საბუთია ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც სულხან-საბას კრებულში ეძებს სიცრუის სიბრძნეს“ (ლანგი, 1957, გვ. 163-164).

დ. ლანგი იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაზე გარკვეული ზემოქმედება მოუხდენია „ბალავარიანს“. მისი სიტყვით:

„სულხან-საბას სწორედ ბალავარიანი ჰქონდა გულში, ანდა გულის კუნჭულში მაინც, როდესაც თავის წიგნზე მუშაობას შეუდგა... დ. ლანგი იქვე სვამს კითხვას: „როგორ შეესაბამება წიგნის განწყობილებასა და შინაარსს, რომ სულხან-საბა ორბელიანის მიერ გამოხატული სიბრძნე მხოლოდ და მხოლოდ სიცრუესა და აბდაუბდაზე დამოკიდებულად ვცნოთ“ და ამ კითხვას თვითონვე უპასუხებს: „უპირველეს ყოვლისა თავიდან უნდა მოვიშოროთ ის აზრი, რომ თხზულების ერთი რომელიმე გმირი ბრძნული მოძღვრების წარმომადგენელია, მეორე კი – ცრუსი ან ყალბისა. ცაგარელი საჭურის რუქას ეშმაკის მოციქულად ხატავდა, წინააღმდეგ ბრძენი ლეონისა და ჭეშმარიტების სხვა წარმომადგენლებისა, მაგრამ წიგნის სახელდახელოდ გადასინჯვაც კი აამკარავებს, რომ ნამდვილად ჭკუის დამრიგებელი და უბრალო მოთხრობები მეტ-ნაკლებად თანაბრად ნაწილდება სხვადასხვა მობაასეთა შორის“ (ლანგი, 1957, გვ. 166).

მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მეცნიერებმა დ. ლანგის ყველა მოსაზრება არ გაიზიარეს (ბარამიძე, 1957; ბარამიძე, 1964; კეკელიძე, 1959, გვ. 143), ეს ნაშრომი საკმაოდ საინტერესო და სათვალისწინებელია საკითხით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

1982 წელს ლონდონში გამომცემლობა „ოქტაგონ პრესმა“ გამოსცა „სიბრძნე სიცრუისას“ ახალი ინგლისური თარგმანი, შესრულებული ქეთრინ ვივიანის მიერ „A Book of Wisdom and Lies“ („წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“) (Vivian, K. 1982).

ცნობილმა ქართველოლოგმა, მწერალმა და მთარგმნელმა ქეთრინ ვივიანმა ქართული მწერლობის არაერთი ძეგლი თარგმნა ინგლისურ ენაზე: „ვეფხისტყაოსნის“ ახალი პროზაული ინტერ-

პრეტაცია, „სიბრძნე სიცრუისა“, კ. სალიას „ქართველი ერის ისტორია“, თარგმნა აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ ერთი მონაკვეთი – ლაშა გიორგის მეფობის ისტორია, გამოაქვეყნა წერილები ქართული ლიტერატურის საკითხებზე.

„სიბრძნე სიცრუისას“ ვივიანისეული სრული თარგმანი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული (გაფორმება ეკუთვნის მხატვარ მ. მალაზონიას). თარგმანის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

„სიბრძნე სიცრუისას“ ზოგიერთი არაკი შეიძლება შევადაროთ ინდურ „პანჩატანტრას“, ანუ „ბიდპაის არაკებს“, აგრეთვე, „ქილილა და დამანას“ ქართულ ვარიანტს, გარდა ამისა, გვხვდება „ათას ერთი ღამიდან“, ქართული ფოლკლორიდან ნასესხები იგავ-არაკები, დანარჩენი კი თვით სულხან-საბას შეუქმნია. მისი სტილი დამაჯერებელი, ლაკონიური და შეულამაზებელია, მაგრამ მწერალი იშვიათ პოეტურ სილამაზეს სწვდება რომელიმე გმირისა და მშვენიერი ქალის შემოსაყვანად გამოყენებულ გამოთქმებში. მისი იგავ-არაკები ეყრდნობა ქართულ ტრადიციას და ჩვეულებებს. ასეთია, მაგალითად, „დიდვაჭარი და მეფუნდუკი“. ორბელიანის მოთხრობებში შთამბეჭდავადაა ასახული ხელგამლილი და სტუმართმოყვარე ქართველი ხალხის ხასიათი, მისი გონების მარადიული სიფხიზლე, გამბედაობა და იუმორის გრძობა. მრავალგზისაა ნახსენები ძმადნაფიცობა □ ჩვეულება, რომელიც დღესაც არსებობს საქართველოს ბევრ მხარეში“ (თურნავა, 1999, გვ. 241).

საქართველოში ამ თარგმანს არაერთი გამოხმაურება მოჰყვა, დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე ინგლისელ ქართველოლოგთა შორის. ამ მხრივ საინტერესოა რობერტ სტივენსონისა და დევიდ ლანგის მოსაზრებები. თხზულების სათაური ქ. ვივიანს, ო. უორდროპის მსგავსად, ინგლისურად უთარგმნია, როგორც „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“. ამასთან დაკავშირებით რ. სტივენსონი წერდა:

„ცოტა ხნის წინ მივიღე „სიბრძნე სიცრუისას“ ქ. ვივიანისეული თარგმანი. ცხადია, იგი სასიამოვნოდ და წარმატებითაა შესრულებული. მხოლოდ დასანანი, რომ არ აქვს წამდვარებული გასტონ ბუაჩიძის ფრანგული თარგმანის მსგავსი ვრცელი შესავალი. სხვათა შორის, ყოველთვის მიკვირდა, მთარგმნელები სათაურში რომ წერენ „ლაიზ“ (სიცრუე). უეჭველია, აქ არ იგულისხმება ტყუილი. ნუთუ, ცხადი არ არის, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა ფაქტობრივად დაკავშირებულია ზღაპრული მოთხრობებიდან, ანუ არაკებიდან გამომდინარე სიბრძნესთან? ვფიქრობ, ბუნებრივი ინგლისური თარგმანი იქნება „იგავ-არაკები“ ან „იგავ-არაკების წიგნი“ (თურნავა, 1999, გვ. 240).

1982 წელს ინგლისურ ჟურნალში „ენგლოუ სოუვიეტ ჯერნლი“ დაიბეჭდა დ. ლანგის რეცენზია ვივიანისეულ თარგმანზე. დ. ლანგი წერდა:

„სულხან-საბა ორბელიანი გონებამახვილი კაცი იყო და მცირე მისტიფიკაციასაც მიმართა. მან საგანგებოდ აირჩია გართიმული სათაური, რომელიც შეიცავს ფორმულას: სიბრძნე-სიცრუე, თუმცა სიცრუე შეიძლება ნიშნავდეს „ამაობას“, „მოჩვენებითობას“, „ჭორს“, „გამონაგონს“. ზოგიერთი მთარგმნელი დააბნია სათაურმა. მათ სათაურად ამჯობინეს – „გამონაგონის სიბრძნე“. მიუხედავად ამისა, ქეთრინ ვივიანის ინტერპრეტაცია – „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“ – უფრო შესაფერისი ჩანს. იგი აგრძელებს სერ ოლივერ უორდროპის მიერ დანერგილ ტრადიციას“ (თურნავა, 1983).

„სიბრძნე სიცრუისას“ ვივიანისეულ თარგმანს ეხება რ. თურნავას ვრცელი სტატია. მკვლევარი ინგლისურ თარგმანს უდარებს ორიგინალს, აგრეთვე, ო. უორდროპის თარგმანს და მრავალ

საგულისხმო დასკვნას გვთავაზობს (თურნავა, 1983). ო. უორდროპის თარგმანთან ქ. ვივიანისეული თარგმანის შეპირსპირებისას რ. თურნავა აღნიშნავს:

„ოლივერ უორდროპის თარგმანი არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან შინაარსის გადმოცემაში, მაგრამ ეს არ ამცირებს მის მნიშვნელობას და მხატვრულ ღირსებას. მოწონებას იმსახურებს აფორიზმების ბევრი ოლივერ უორდროპისეული ვარიანტი. ზოგ შემთხვევაში ისინი სჯობნის ქეთრინ ვივიანის მიერ შემოთავაზებულს, ზოგჯერ კი ახალ თარგმანში გვაქვს უკეთესი ვერსიები. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ოლივერ უორდროპის ნამუშევარი თავის დროზე სასიამოვნო საკითხავი იქნებოდა, ამჟამად კი, ცოტა არ იყოს, მოძველებულია. საერთოდ, ქეთრინ ვივიანის თარგმანი გამოირჩევა მეტი თანამიმდევრობით, აკადემიური და მაღალმხატვრული სტილით“ (თურნავა, 1983).

სულხან-საბა ორბელიანისა და „სიბრძნე სიცრუისას“ ხსენება არაერთი გერმანელი მეცნიერის ნაშრომში გვხვდება (ი. ადელუნგი, ფ. ნ. ფინკი, ა. ბაუმშტარკი, რ. ბლაიხშტაინერი, ა. ლაისტი, გ. დეეტერსი...) (რევიშვილი, 1977, გვ. 169-187).

„სიბრძნე სიცრუისას“ პირველი თარგმანი გერმანულ ენაზე დაიბეჭდა ბერლინში, 1933 წელს, გამომცემელი – არჩილ მეტრეველი. წიგნს ამშვენებს ქართული ჩუქურთმით გაფორმებული თავფურცელი და სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტი. თარგმანი „Die Weisheit der Lüge“ („სიბრძნე სიცრუისა“) (Tseretheli, 1933) ეკუთვნის ცნობილ აღმოსავლეთმცოდნესა და ქართველოლოგს მიხეილ (მიხაკო) წერეთელს (1878-1965). მთარგმნელს არ გაუზიარებია ტექსტის იმგვარი აგებულება, როგორც იყო ალ. ცაგარელისა და ო. უორდროპის თარგმანებში (162 იგავი). თხზულება დასათარგმნულია გ. ლეონიძის გამოცემის მიხედვით და შეიცავს 152 იგავს. წიგნს ერთვის მ. წერეთლის წინასიტყვაობა (Tseretheli, 1933, გვ. XIII-XV) და მის მიერვე დაწერილი სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფია (Tseretheli, 1933, გვ. 1-10). თარგმანსა და ნარკვევს საფუძვლად უდევს გ. ლეონიძის მიერ 1928 წელს გამოქვეყნებული ტექსტი (ლეონიძე, 1928). თარგმანის წინასიტყვაობაში მ. წერეთელი აღნიშნავს:

„ექვყარეშეა, რომ ორბელიანმა წიგნის სათაურშიც „სიბრძნე სიცრუისა“ ეს აზრი ჩადო – არაკეზში გამოგონილ ისტორიებში დაფარული სიბრძნე. აქედან გამომდინარე, წიგნის სათაური ჩვენ ასე ვთარგმნეთ „Die Weisheit der Lüge“ – „სიბრძნე სიცრუისა“. ცალკეული არაკეზების სათაურები ორბელიანს არ ეკუთვნის. ისინი ცაგარელის თარგმანში მხოლოდ სარჩევშია შეტანილი არაკის შინაარსის შესატყვისად და არა თარგმნილ ტექსტში, რომელსაც ცაგარელი 162 ნაწილად ყოფს. თხრობის რიტმის გათვალისწინებით, ჩვენ წიგნის ლეონიძისეული, 152 ნაწილად, დაყოფა ვამჯობინეთ, არაკეზის მოკლე სათაურებიც დავაზუსტეთ და ჩვენი თარგმანის ტექსტში ისე გადმოვიტანეთ. ქართული ტექსტის გერმანული თარგმანი მარტივი შესასრულებელი არ გახლდათ. ჩვენი მიზანი იყო, ავტორისეული სტილი შეძლებისდაგვარად შეგვენარჩუნებინა თარგმანში ტექსტის ორიგინალობის მეტი სიზუსტით ასახვის მიზნით“ (Tseretheli, 2017, გვ. 15-16).

„სიბრძნე სიცრუისას“ გერმანულ გამოცემაში ჩართულია ზ. ავალიშვილის მრავალმხრივ საინტერესო ვრცელი შესავალი წერილი (Tseretheli, 1933, გვ. 11-53). ზ. ავალიშვილის ნაშრომი გერმანულ მკითხველს უადვილებს ტექსტის გაგებას, არის ცდა „სიბრძნე სიცრუისას“ პერსონაჟთა პროტოტიპების დადგენისა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს სულხან-საბა ორბელიანის ენისა და სტილის საკითხებზეც.

მ. წერეთელი და ზ. ავალიშვილი არ ეთანხმებიან წიგნის სათაურის ცაგარელისეულ ახსნას, რომ „სიბრძნე სიცრუისა“ უნდა ითარგმნოს როგორც „Книга Мудрости и Лжи“. მათ მართებულად მიაჩნიათ კ. კეკელიძის შენიშვნა: „სახელწოდება კრებულისა: „სიბრძნე სიცრუისა“ გულისხმობს,

რომ ის შეიცავს სიბრძნეს, ე. ი. გარკვეულ აზრს, მნიშვნელობას სიცრუის, ანუ ცრუ, მოგონილ ზღაპრისა და იგავ-არაკებისას ან აქედან გამომდინარეობს წიგნის სათაურის თარგმანი: „Die Weisheit der Lüge“ (ბარამიძე, 1964, გვ. 121). მ. წერეთელი და ზ. ავალიშვილი იზიარებენ „სიბრძნე სიცრუისას“ ილიასეულ გაგებას. „სიბრძნე სიცრუისას“ გერმანულ სათაურს მხარი დაუჭირეს ალ. ბარამიძემ (ბარამიძე, 1964, გვ. 121) და სხვებმა.

ზ. ავალიშვილი დიდ ადგილს უთმობს „სიბრძნე სიცრუისას“ შესაძლებელი ფოლკლორული და ლიტერატურული წყაროების საკითხს. მისი დაკვირვებით:

„წიგნი სიბრძნე სიცრუისა“ უნდა განვიხილოთ როგორც ჩარჩოში მოქცეული მოთხრობათა კრებული, რადგან ამ თხრობას პრინცი ალზრდა გასდევს ლაიტმოტივად. ამიტომ ცხადია, წიგნი ასახავს სამეფო კარის ერთ-ერთ ჩვეულებას დაახლოებით იმ აზრით, როგორც ეს, მაგალითად, ძველ ინდურ წიგნში „პანჩატანტრაშია“ ასახული. ეს კიდევ უფრო მეტად ეხება მასზე დამოკიდებულ „ქილილა და დამანას“, რომელიც სხვადასხვა სახელწოდებით, სხვადასხვა ენაზეა დამუშავებული და რომელმაც დიდი გავლენა იქონია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა ხალხის მხატვრულ ლიტერატურაზე... წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ ფორმალურად მიყვება ნაწარმოებების „ქილილა და დამანას“, „შვიდი ბრძენის“ და სხვათა კვალს. დასავლეთ ევროპის მსგავს მოთხრობებთან ამგვარი ნათესაობით იგი უკავშირდება ჩოსერის „კენტერბერულ მოთხრობებსა“ და ბოკაჩოს „დეკამერონს“ (Tseretheli, 2017, გვ. 87-89).

ზოგადად ზ. ავალიშვილის „შესავალი“ „სიბრძნე სიცრუისას“ ლიტერატურული წყაროების შესახებ არაერთ საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს.

გასული საუკუნის 70-იან წლებში „სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულ ენაზე თარგმნა იენის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქართველოლოგმა ჰაინც ფენრიხმა. 1973 წელს ბერლინში გამომცემლობა „რიუტენ უნდ ლოენინგმა“ გერმანულ ენაზე გამოსცა წიგნი: Orbeliani S. S. Die Weisheit der Lüge. Übers. von H. Fähnrich (ს.-ს. ორბელიანი. სიბრძნე სიცრუისა, თარგმნილი ჰ. ფენრიხის მიერ) (Fähnrich, 1973). წიგნის გაფორმება და ილუსტრაციები ეკუთვნის ჰანს იოახიმ ბერენდტს. კრებულს წამმდვარებული აქვს ანოტაცია, რომელიც გერმანულ მკითხველს აცნობს სულხან-საბა ორბელიანსა და მის შემოქმედებას.

თარგმანის სათაური „Die Weisheit der Lüge“ აგრძელებს სათაურის ინტერპრეტაციის გერმანიაში დამკვიდრებულ ტრადიციას. წიგნს დართული აქვს უცხო სიტყვების ლექსიკონი, გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა საძიებლები, თარგმნილია 152 იგავი. თარგმანი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, მთარგმნელი ღრმად წვდება საბასეულ სიბრძნეს, ქმნის ორიგინალის ადეკვატურ მხატვრულ სამყაროს.

„სიბრძნე სიცრუისას“ ჰ. ფენრიხისეულ თარგმანს ერთვის მოზრდილი ბოლოსიტყვაობა „Sulchan-Saba Orbeliani und seine zeit“ („სულხან-საბა ორბელიანი და მისი დრო“) (Fähnrich, 1973, გვ. 249-262), რომლის ავტორია ელკე ერბი. ავტორი მკითხველს აცნობს სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიას და გადმოგვცემს იმ ეპოქის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სურათს, რომელშიც მწერალი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა; აქ საუბარია გიორგი XI-ისა და ვახტანგ VI-ის მეფობის ძირითად მომენტებსა და სულხან-საბას სიახლოვეზე ქართლის სამეფო კართან, იხსენიება საბას ევროპაში გამგზავრების ისტორია, მისი „მოგზაურობა ევროპაში“ და ა. შ. მოგვიანებით ე. ერბმა ეს წინასიტყვაობა თავის წიგნშიც შეიტანა (Erb, 1975).

საქართველოში ჰ. ფენრიხის თარგმანს ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. ცნობილია ისიც, რომ ეს თარგმანი „შევიდა გდრ-ის იმ 52 წიგნთა სიაში, რომელიც 1973 წელს აღიარებულია „შესანიშნავ წიგნად“. ეს, რა თქმა უნდა, მის დიდ წარმატებაზე მეტყველებს“ (კახნიაშვილი, 1981). „სიბრძნე-

სიცრუისას“ 3. ფენრიხისეული თარგმანი „Die Weisheit der Lüge“ განმეორებით 1974 წელს დაიბეჭდა ქ. მაინის ფრანკფურტში, გამომცემლობა „ინზელ ფერლაგში“ (Fährlich, 1974).

სულხან-საბა ორბელიანის შესახებ მოთხრობილია 3. ფენრიხის წიგნში „Die Georgische Literatur. Ein überblick“ („ქართული ლიტერატურა. მოკლე მიმოხილვა“) (Fährlich, 1981, გვ. 64-66). ავტორი გერმანელ მკითხველს აცნობს სულხან-საბას ბიოგრაფიასა და შემოქმედებას. მოკლედ მიმოხილულია „სიბრძნე სიცრუისა“, „მოგზაურობა ევროპაში“ და „ქილილასა და დამანას“ თარგმნის ისტორია.

3. ფენრიხის თარგმანს მოჰყვა მისი მასწავლებლის, ქართველოლოგ გერტრუდ პეჩის, გამოხმაურება, რომელიც დაიბეჭდა პარიზში, ჟურნალში „ბედი ქართლისა“. გ. პეჩის სტატიაში „Zwei deutsche Fassungen von Sulchan-Saba Orbeliani: Die Weisheit der Lüge“ („სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ ორი გერმანული თარგმანი“) (Pätsch, 1974, გვ. 306-310). მიმოხილულია „სიბრძნე სიცრუისას“ ფენრიხისეული თარგმანი და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, მოცემულია ამ თარგმანისა და მ. წერეთლისეული გერმანული თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი. ანალოგიური კვლევა ჩვენში არ ჩატარებულა, ამდენად, გ. პეჩის რეცენზია დიდად საყურადღებოა, რადგან ავტორი არაერთ საგულისხმო დაკვირვებას გვთავაზობს.

მოსე ხონელის საგმირო-სარაინდო რომანი „ამირანდარეჯანიანი“ სრულად არის თარგმნილი ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ამჯერად სპეციალურად შევეხებით თხზულების ინგლისურ თარგმანს და მასთან დაკავშირებულ პოლემიკას ინგლისელ და ქართველ მეცნიერთა შორის.

1958 წელს ოქსფორდში გამოიცა „ამირანდარეჯანიანის“ ინგლისური თარგმანი, მთარგმნელი – რობერტ სტივენსონი (1920-1998). ქართველოლოგიით რობერტ სტივენსონის დაინტერესებაში დიდი წვლილი შეიტანა ოლივერ უორდროპმა. 1958 წელს რ. სტივენსონმა გამოაქვეყნა „ამირანდარეჯანიანის“ ინგლისური თარგმანი [Mose Khoneli. Amirandarejaniani. Translated by R. H. Stevenson (Mose Khoneli, 1958)]. რ. სტივენსონის ქართველოლოგიური მოღვაწეობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას „ამირანდარეჯანიანი“ იმიტომაც იმსახურებს, რომ ჩვენ წინაშეა არამარტო ამ საკმაოდ მოცულობითი ტექსტის სრული თარგმანი, არამედ წიგნის წინასიტყვაობა და ვრცელი სამეცნიერო ნარკვევი, რომელმაც მეცნიერთა ყურადღება და არაერთი გამოხმაურება დაიმსახურა. 1958 წელს ოქსფორდში გამოცემული წიგნის სრული სათაურია „Amiran-Darejaniani. A cycle of Medieval Georgian tales traditionally ascribed to Mose Khoneli. Translated by R. H. Stevenson“ (Mose Khoneli, 1958).

„ამირანდარეჯანიანის“ ტექსტის სრულ თარგმანს დართული აქვს სამეცნიერო აპარატი დანართებითა და შენიშვნებით. თარგმანი შედგება 12 თავისაგან: *The First Chapter. The Story of Abesalom, the Indian King; The Second Chapter. The Story of Badri Iamanisdze; The Third Chapter. The Battle of Badri Iamanisdze and the Champion Arzamaniki ; The Fourth Chapter. The Story of Nosar Nisreli ; The Fifth Chapter. The Story of Amiran Darejanisdze; The Sixth Chapter. The Story of Ambri Arabi ; The Seventh Chapter. The Coming of Indo Dchabuki into the Yemeni Land; The Eighth Chapter. The Story of the Stars; The Ninth Chapter. The Story of the Talismans; The Tenth Chapter. The Story of Sepedavle Darispanisdze; The Eleventh Chapter. The Story of Mze Dchabuki; The Twelfth Chapter; The Story of Amiran Darejanisdze's Journey to the Land of Balkh; and of Balkham Qamisdze.**

თარგმანის თითქმის ყველა გვერდზე გვხვდება ვრცელი სქოლიოები, ხოლო თხზულების ტექსტს დართული აქვს რამდენიმე განყოფილება: შენიშვნები და დანართები, სიტყვათა განმარ-

* აქვე მკითხველს შევახსენებთ „ამირანდარეჯანიანის“ თორმეტი კარის სათაურებს ქართულ ენაზე: 1. აბესალომ ჰინდოთა მეფისა ამბავი; 2. ბადრი იამანის-ძისა ამბავი; 3. ნოსარ ნისრელისა ამბავი; 4. ამირან დარეჯანისძისა ამბავი; 5. ამბრი არაბისა ამბავი; 6. ინდო ჭაბუკისა ამბავი; 7. მნათობთა ამბავი; 8. ტილისმათა ამბავი; 9. სეფედავლე დარისპანის-ძისა ამბავი; 10. მზისა ჭაბუკისა ამბავი; 11. სისხლთა ძებნისა ამბავი; 12. ბალხეთს შესვლისა ამბავი.

ტებები, ხალხური პოეტური ვერსია, საისტორიო წყაროები... ქართველი და ინგლისელი მეცნიერების ყურადღების ცენტრში მოექცა წიგნის პირველი ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია თხზულების ტექსტა და გამოკვლევაზე მუშაობისას გამოყენებული ლიტერატურის სია და მოკლე წინასიტყვაობა.

წინასიტყვაობაში მთარგმნელი ცდილობს მკითხველს წარმოუდგინოს სირთულეები, რომლებიც ამ ტექსტის თარგმნას ახლდა. იგი აღნიშნავს:

„მეთორმეტე საუკუნეში დაწერილი ტექსტის თარგმნა არასოდესაა ადვილი. მით უმეტეს, როცა ეს ტექსტი ნაკლებად ცნობილ ენაზეა შექმნილი. ზოგჯერ ცალკეული სიტყვების გადმოტანა ერთი ენიდან მეორეზე საკმაოდ სახიფათოცაა. ჩემთვის გასაგებია, რომ ამ თარგმანის ყოველ გვერდზე შეიძლება მოიძებნოს სიტყვები, რომელთა ახსნაც გამწვანდება, მაგრამ მე მაინც გავბედე შევჭიდებოდი ამ სამუშაოს“ (Mose Khoneli, 1958, გვ. XII).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წიგნის შესავალ ნაწილში გამოთქმული მთელი რიგი მოსაზრებებისა ქართული სარაინდო რომანის წარმოშობის, „ამირანდარეჯანიანის“ ავტორისა და დათარიღების, ხალხურ „ამირანიანთან“ მიმართების თაობაზე, აგრეთვე, სიუჟეტის ორიგინალობის შესახებ. კარგად ჩანს, რომ რ. სტივენსონი „ამირანდარეჯანიანის“ ქართულ ეროვნულ საფუძვლებზე წარმოშობის მხარდამჭერია. გამოკვლევა შედგება ცხრა თავისაგან და იწყება მ. ბროსეს სიტყვებით, „ეს არის რომანი პროზად, მოსე ხონელის მიერ ძველ ქართულად დაწერილი, მშვენიერი ნაწარმოებია. შედგება თორმეტი კარის ან ზღაპრისაგან და ეწოდება „ამირანდარეჯანიანი“. რ. სტივენსონი იქვე აღნიშნავს, რომ სწორედ მ. ბროსე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც ქართული სარაინდო რომანის შესახებ მოუთხრო ევროპელ მკითხველს. თავად რ. სტივენსონი კი პირველი იყო, ვინც თავის გამოკვლევაში შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებიდან განიხილა „ამირანდარეჯანიანი“. როგორც რ. სტივენსონის ქართველოლოგიურ ძიებათა მკვლევარი ნ. ანდრონიკაშვილი მიუთითებს: „აუცილებელია აღინიშნოს ის გარემოება, რომ სტივენსონი ძველის ორიგინალობის თეზას და მისი, როგორც ნათარგმნი ძველის, საწინააღმდეგო არგუმენტებით მტკიცებას უდგება შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციებიდან და ამის შესახებ წერს კიდევაც თავის წინასიტყვაობაში. ეს ნიშნავდა მკვლევრის მიერ სარაინდო რომანის საერთო სქემაში ქართული ძველის ადგილის მოძებნას“ (ანდრონიკაშვილი, 1988, გვ. 14-15).

მიუხედავად იმისა, რომ „ამირანდარეჯანიანის“ ინგლისურენოვანი თარგმანის „შესავალი“ მნიშვნელოვანი გამოკვლევაა, რომელშიც განხილულია თხზულების ირგვლივ არსებული სამეცნიერო ნაშრომები და საგანგებოდ გამოკვეთილია ავტორისეული პოზიცია თხზულების ორიგინალობის თაობაზე, ამ წიგნის გამოქვეყნებას მეცნიერული პოლემიკა მოჰყვა (დ. ლანგი და გ. მერედით-ოუენსი, შ. ნუცუბიძე, ალ. ბარამიძე, ს. სერებრიაკოვი, მ. ჩიქოვანი). კერძოდ, დ. ლანგისა და გ. მერედით-ოუენსის რეცენზიაში ხელახლა იჩინა თავი „ამირანდარეჯანიანის“ სპარსული წარმოშობის თეორიამ. დ. ლანგმა და გ. მერედით-ოუენსმა „სპარსული „ყისად ჰამზასა“ და ქართული „ამირანდარეჯანიანის“ ურთიერთობის განხილვისას შესაძლებლად ჩათვალეს სპარსული ნაწარმოების გავლენა ქართულზე, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ქართველი მეცნიერებისათვის.

„ამირანდარეჯანიანის“ რ. სტივენსონისეული ინგლისური თარგმანი და მის გარშემო მეცნიერული პაექრობა შეისწავლა და დაწვრილებით განიხილა თავის წიგნში ნ. ანდრონიკაშვილმა. მისი შეფასებით: „ამირანდარეჯანიანის“ ორიგინალური წარმოშობის თეზასთან დაკავშირებით მისთვის გადამწყვეტი ფაქტორი იყო რომანის პერსონაჟთა ეროვნული ხასიათი, მმადნაფიცობის ინსტიტუტი, პატრონჟმური ურთიერთობა. მან შეძლო „ამირანდარეჯანიანის“ ჩასმა XI-XII საუკუნეების ზოგად სარაინდო-საფალავნო ჟანრის დასავლურ-აღმოსავლურ კონტექსტში და მიანიშნა ქართული თხზულების მიღწევაზე და თავისებურებაზე ამ ჟანრში“ (ანდრონიკაშვილი, 1988, გვ. 75).

რ. სტივენსონის თარგმანთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ქართველი და უცხოელი მეცნიერების არაერთი გამოხმაურება, რეცენზია და კრიტიკული წერილი ქართულ და უცხოურ ენებზე (ალ. ბარამიძე, შ. ნუცუბიძე, ს. სერებრიაკოვი, გ. პეჩი, დ. ლანგი, მ. ჩიქოვანი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ამირანდარეჯანიანი“ „ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიათან“ ერთად ჰიპერბოლურ ლიტერატურად მოიხსენია ინგლისელმა ქართველოლოგმა რონალდ რეიფილდმა. 1994 წელს ოქსფორდში გამოცემულ მონოგრაფიაში „The Literature of Georgia. A History“ („საქართველოს ლიტერატურა: ისტორია“) (Rayfield, 1994) იგი წერდა:

„ჰიპერბოლური ლიტერატურა, რომელსაც გააჩნია ტენდენცია გაზვიადებისა, გამომხატველობის ჩარჩოების მიღმა გასვლისა, აღქმა-გაგების, ჟანრის და ხანდახან საღი გემოვნების საზღვრების გადაცდენისა... [„ამირანდარეჯანიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“], შეიძლება გვეფიქრა, რომ რომელიღაც დაკარგული სპარსული ხელნაწერებიდანაა თარგმნილი“ (ხინთიბიძე, 2003, გვ. 231-232).

ქართველმა მეცნიერებმა არ გაიზიარეს რ. რეიფილდის ამგვარი შეფასებები, რაც ნათლად ჩანს ე. ხინთიბიძის გამოხმაურებაში:

„ჰიპერბოლიზაცია კლასიკური ხანის ქართული საერო ეპიკური ლიტერატურის ის სპეციფიკური ნიშანია, რომელიც მას სპარსული პოეზიისგანაც გამოარჩევს ... „ამირანდარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები შემკულნი არიან შუასაუკუნეების რაინდობის უზომოდ ჰიპერბოლური სულით, რომელიც ძალიან ემსგავსება შესაბამისი პერიოდის საკარო პოეზიის განწყობილებებს საფრანგეთში, გერმანიასა თუ ირანში“ (ხინთიბიძე, 2003, გვ. 236-238).

ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი მასალიდანაც კარგად ჩანს, რა როლი ეკისრება ზოგადად მხატვრული და, კერძოდ, ქართული ლიტერატურის თარგმნას უცხოურ ენებზე. ამდენად, ინტერკულტურული კომუნიკაცია მნიშვნელოვანია არამარტო ქართველოლოგიური კვლევა-ძიების თვალსაზრისით, არამედ იმ მიზნითაც, რომ უძველესი ქართული მწერლობა სათანადოდ იყოს შეფასებული და ჩართული მსოფლიო ლიტერატურის კვლევის პროცესებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ანდრონიკაშვილი, ნ. (1988). რობერტ სტივენსონის ქართველოლოგიური ძიებანი. თბილისი: „მეცნიერება“.
- ბარამიძე, ალ. (1957). სიბრძნე სიცრუის გარშემო. „მნათობი“, 1957, №12, 141-149.
- ბარამიძე, ალ. (1964). ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. IV. თბილისი: „მეცნიერება“.
- თურნავა, რ. (1983). საბას იგავ-არაკები ინგლისურად. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 9.
- თურნავა, ს. (1999). XX საუკუნის საზღვარგარეთული ქართველოლოგია. I. თბილისი.
- კახნიაშვილი, ვ. (1981). ჩვენი მწერლობა გერმანულად. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 21.VIII, 34.
- კეკელიძე, კ. (1959). ზოგიერთი მომენტი სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიისა. // სულხან-საბა ორბელიანი (საიუბილეო კრებული), 137-145, თბილისი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ლანგი, დ. (1957). წიგნი სიბრძნე-სიცრუისა-ს სათაურისათვის. ჟ. „მნათობი“, 5.
- ლეონიძე, გ. (1928). ორბელიანი ს.-ს. სიბრძნე-სიცრუისა. გ. ლეონიძის რედაქციით. ტფილისი: „შრომა“.
- რევიშვილი შ. (1977). გერმანულ-ქართული ეტიუდები. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- შარაძე, გ. (1984). ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე (უორდროპები და საქართველო). თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ჭავჭავაძე, ი. (2012). თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად). ტ. XVII. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ნ. კოტიონოვა, მ. კვატიაშვილი და ჯ. გაბოძემ. თბილისი: „ილიას ფონდი“.
- ხინთიბიძე, ე. (2003). ევროპაში ქართული ლიტერატურის კვლევის მეცნიერული ღირებულებისათვის. // ქართული ლიტერატურა ევროპულ მეცნიერებაში. ე. ხინთიბიძის რედაქციით. თბილისი: „ქართველოლოგი“. 185-240.

- Erb, E. (1975). Gutachten. Poesie und Prosa. Berlin: „Aufbau“.
- Lang, D. M. (1956). Wisdom and Lies. Variations on a Georgian Literary Theme. – BSOAS. XVIII/3.
- Lang, D. M. and Meredith-Owens G. M. (1959). Amiran-Darejaniani. A Georgian Romance and its English rendering. „Bulletin of the school of Oriental and African studies“. University of London: Vol. XXII, 3.
- Mose Khoneli. (1958). Amirandarejaniani. Translated by R. H. Stevenson (A Cycle of medieval Georgian Tales, traditionally ascribed to Mose Khoneli). Oxford.
- Orbeliani Sulchan-Saba. (1982). Book of Wisdom and Lies. Translated by Katharine Vivian. London: Octagon Press.
- Pätsch, G. (1974). Zwei deutsche Fassungen von Sulchan-Saba Orbelianis: „Die Weisheit der Lüge“. „Bedi Kartlisa“, revue de Kartvélogie. vol. XXXII. Paris.
- Tseretheli, M.(1933). Die Weisheit der Lüge, gesprochen von Sulchan-Saba Orbeliani (georgische Bibliothek. Herausgegeben von A. Metreveli. N1). Berlin-Wilmersdorf. Übersetzt aus dem Georgischen von Prof. Dr. M. von Tseretheli. Einleitung von Dr. Surab Avalischwili.
- Tseretheli, M. (2017). S.-S. Orbeliani. Die Weisheit der Lüge. Übersetzt aus dem Georgischen von Prof. Dr. M. von Tseretheli. – ს.-ს. ორბელიანი. სიბრძნე სიცრუისა. ქართულიდან გერმანულად თარგმნა პროფ. მ. წერეთელმა. თბილისი: „უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

References:

- Andronik'ashvili, N. (1988). Robert' st'ivensonis kartvelologiuri dziebani. [Robert Stevenson's Georgian studies]. Tbilisi: „metsniereba“.
- Baramidze, A. (1957). Sibrdzne sitsruis garshemo. [About The Wisdom of Lies]. „Mnatobi“, 12, 141-149.
- Baramidze, A. (1964). Robert' st'ivensonis kartvelologiuri dziebani. Tbilisi: „metsniereba“. [Essays from the history of Georgian literature. IV]. Tbilisi: „metsniereba“.
- Ch'avch'avadze, I. (2012). Tkhzulebata sruli k'rebuli (ots t'omad). T'. XVII. T'ekst'i gamosatsemad moamzades, k'oment'arebi, shenishvnebi da sadzieblebi daurtis N. K'ot'inovma, M. K'vat'aiaam da J. Gabodzem. [A complete collection of works (in twenty volumes). T. XVII. The text was prepared for publication, comments, notes and searches were added by N. Kotinov, M. Kwataia and J. Gabodze]. Tbilisi: „Ilias pondi“.
- Erb, E. (1975). Report. Poetry and prose. Berlin: „Aufbau“.
- Fähnrich, H. (1973). Orbeliani S. S. The Wisdom of Lies. Translated by H. Fähnrich. Berlin: „Rütten & Loening“.
- Fähnrich, H. (1974). Orbeliani S. S. The Wisdom of Lies. by H. Fähnrich. [Frankfurt/M/]: „Insel“.
- Fähnrich, H. (1981). Georgian literature (an overview). Editor V. Kachniaschvili. Tbilisi: „Sabtschota Sakartwelo“.
- Kakhniashvili, V. (1981). Chveni mts'erloba germanulad. [Our writing in German]. Gaz. „lit'eraturuli sakartvelo“, 21.VIII, 34.
- Kekelidze, K. (1959). Zogierti moment'i sulkhan-saba orbelianis tskhovrebisa da shemokmedebis ist'oriisa. // Sulkhan-Saba Orbeliani (saiubileo k'rebuli). [Some moments of Sulkhan-Saba Orbelian's life and creative history]. // [Sulkhan-Saba Orbeliani (anniversary collection)]. Tbilisi: „tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba“. 137-145.
- Khintibidze, E. (2003). Evrop'ashi kartuli lit'eraturis k'vlevis metsnieruli ghirebulebisatvis. // Kartuli lit'eraturia evrop'ul metsnierebashi. E. Khintibidzis redaktsiit [For the scientific value of Georgian literature research in Europe]. // [Georgian Literature in European Scholarship. Edited by E. Khintibidze]. Tbilisi: „kartvelologi“, 185-240.
- Lang, D. (1956). M. Wisdom and Lies. Variations on a Georgian Literary Theme. – BSOAS. XVIII/3.
- Lang, D. (1957). Ts'igni sibrdzne-sitsruisa-s sataurisatvis. [Title for the book The Wisdom of Lies]. Zh. „Mnatobi“, 5.
- Lang, D. (1959). M. and Meredith-Owens G. M. Amiran-Darejaniani. A Georgian Romance and its English rendering. „Bulletin of the school of Oriental and African studies“. University of London: Vol. XXII, 3.
- Leonidze, G. (1928). Orbeliani S.-S. Sibrdzne-sitsruisa. G. Leonidzis redaktsiit. [Orbeliani S. The Wisdom of Lies. c. Edited by Leonidze]. T'pilisi: „shroma“.
- Mose Khoneli, (1958). Amirandarejaniani. Translated by R. H. Stevenson (A Cycle of Medieval Georgian Tales, traditionally ascribed to Mose Khoneli). Oxford: 1958.
- Pätsch, G. (1974). Two German versions of Sulchan-Saba Orbeliani's: „The Wisdom of Lies“. „Bedi Kartlisa“, revue de Kartvélogie. vol. XXXII. Paris.

- Rayfield, D. (1994). *The Literature of Georgia. A History*. Oxford: Clarendon Press.
- Revishvili, sh. (1977). *Germanul-kartuli et'iudebi*. [German-Georgian etudes]. Tbilisi: „Tbilisis universit'et'is gamomtsemloba“.
- Sharadze, G. (1984). *Bednierebisa da satnoebis saunje (Uordrop'ebi da Sakartvelo)*. [Treasury of Happiness and Virtue (Wardrops and Georgia)]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.
- Tseretheli, M. (1933). *The Wisdom of Lies, spoken by Sulchan-Saba Orbeliani* (Georgian Library. Edited by A. Metreveli. N1). Berlin-Wilmersdorf. Translated from Georgian by Prof. Dr. M. von Tseretheli. Introduction by Dr. Zurab Avalishvili.
- Tseretheli, M. (2017). *S.-S. Orbeliani. Die Weisheit der Lüge*. Übersetzt aus dem Georgischen von Prof. Dr. M. von Tseretheli. Tbilisi: „University Publishing House“.
- Turnava, R. (1983). *Sabas igav-arak'ebi inglisurad*. [Fables of Saba in English]. „lit'erat'uruli sakartvelo“, 9.
- Turnava, S. (1999). *XX sauk'unis sazghvargaretuli kartvelologia. I*. [20th century foreign Georgian studies. I]. Tbilisi.
- Vivian, K. (1982). *Orbeliani Sulkhan-Saba. A Book of Wisdom and Lies*. Translated by Katharine Vivian. London: Octagon Press.
- Wardrop, O. (1888). *The Kingdom of Georgia. Notes of Travel in a Land of Women, Wine and Song*. London.
- Wardrop, O. (1894). *Orbeliani Sulkhan-Saba, The Book of Wisdom and Lies, A Book of Traditional Stories from Georgia, in Asia*, Translated by O. Wardrop. London.